



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №02

2012 წლის 17 იანვარი

ქ. ქობულეთი

საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის

წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 58¹ მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 80⁶ მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თანდართული წესი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

თავი I. საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის წესი და უფლებამოსილება

მუხლი 1. საზოგადოებრივი დარბაზის შექმნა

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58¹ მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად საკრებულოს განკარგულებით იქმნება საზოგადოებრივი დარბაზი.

2. საზოგადოებრივი დარბაზი შედგება:

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან, მათი ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

ბ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებისაგან, მათი განცხადების საფუძველზე.

3. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაციას ახდენს საკრებულოს აპარატი. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაცია ხდება საკრებულოს თავჯდომარის რეგისტრაციის შესახებ ბრძანების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს შეზღუდული.

4. საზოგადოებრივი დარბაზის შემადგენლობის განახლების მიზნით საკრებულოს თავჯდომარე ყოველი წლის 1 თებერვლამდე გამოსცემს ბრძანებას. აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში საკრებულოს აპარატი ახდენს საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაციას. საზოგადოებრივი დარბაზის ახალი წევრების რეგისტრაცია არ იწვევს დარბაზის ძველი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას.

5. საზოგადოებრივი დარბაზი იქმნება საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. საზოგადოებრივი დარბაზის წევრობის უფლება არ ეზღუდებათ პირებს, რომლებიც მანამდე იყვნენ საზოგადოებრივი დარბაზის წევრები.

მუხლი 2. საზოგადოებრივი დარბაზის ზოგადი უფლებამოსილება

1. საზოგადოებრივი დარბაზი უფლებამოსილია:

ა) წინასწარ განიხილოს საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტები და საკრებულოს ან/და საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგის პროექტები, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები განხილულ პროექტებთან დაკავშირებით;

ბ) შესთავაზოს საკრებულოს ან/და საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში ცალკეული საკითხების შეტანა;

გ) წინასწარ განიხილოს საკრებულოს სხდომაზე განსახილველი ნორმატიული აქტების პროექტები და გამოთქვას თავისი მოსაზრებები;

დ) მოითხოვოს საკრებულოს ბიუროსა და საზოგადოებრივი დარბაზის ერთობლივი სხდომის ჩატარება სპეციალური დღის წესრიგით;

ე) მოამზადოს, განიხილოს და წარუდგინოს საკრებულოს ან/და გამგებელს (მერს) წინადადებები შესაბამის თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში.

ზ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც კანონი არ არის აკრძალული.

თავი II. საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარისა და წევრის უფლება-მოვალეობები

მუხლი 3. საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე

1. საკრებულოს თავმჯდომარე იმავდროულად არის საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე.

2. საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და წარმართავს საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას;

ბ) განსაზღვრავს საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის დღის წესრიგს;

გ) უძღვება სხდომაზე საკითხების განხილვას, ხელს უწყობს სხდომის მონაწილეთა მიერ აზრის თავისუფალ გამოხატვას;

დ) აჯამებს საკითხის განხილვისა და სხდომის შედეგებს.

ე) ხელს აწერს საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის ოქმს.

მუხლი 4. საზოგადოებრივი დარბაზის წევრის უფლება-მოვალეობები

1. საზოგადოებრივი დარბაზის წევრს უფლება აქვს:

ა) თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობაში;

ბ) განსახილველ საკითხზე გამოთქვას შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები, ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია.

გ) ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზოგადოებრივი დარბაზის წევრობის შეწყვეტა.

დ) განახორციელოს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და ამ დებულებით მისთვის დაკისრებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. საზოგადოებრივი დარბაზის წევრი ვალდებულია დაესწროს საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში.

3. საზოგადოებრივი დარბაზის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) მის მიერ წარმოდგენილი იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან/და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში;

ბ) საზოგადოებრივი დარბაზის წევრის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების ან/და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში;

გ) საზოგადოებრივი დარბაზის წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით საკრებულოს აპარატისთვის განცხადების მიმართვის შემთხვევაში.

დ) საზოგადოებრივი დარბაზის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში;

ე) მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

თავი III. საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 5. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა.

1. საზოგადოებრივი დარბაზი იკრიბება თვეში ერთხელ მაინც ყოველი თვის პირველი კვირის ორშაბათ დღეს. საკრებულოს თავჯდომარეს საკრებულოს აპარატთან შეთანხმებით შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებრივი დარბაზის შეკრების სხვა დღე, რის შესახებაც დროულად უნდა ეცნობოთ საზოგადოებრივი დარბაზის წევრებს.

2. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის ჩატარების დროს, ადგილის და სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ საზოგადოებრივი დარბაზის წევრების ინფორმირებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

3. საზოგადოებრივი დარბაზის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საზოგადოებრივი დარბაზის რეგისტრირებულ არა ნაკლებ 1/3 წევრების ინიციატივით, წინადადების საკრებულოს აპარატში შეტანიდან 10 დღის ვადაში. შემოსულ წინადადებას საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ უგზავნის საკრებულოს თავჯდომარეს რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი დარბაზის შეკრების დღეს.

4. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავჯდომარე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას შეიძლება დაესწროს გამგებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა წინადადებით, საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის დღის წესრიგს ადგენს საკრებულოს თავჯდომარე. საკრებულოს თავჯდომარის თანხმობის შემთხვევაში დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები.

მუხლი 6. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომაზე საკითხის განხილვა.

1. საზოგადოებრივი დარბაზი წარმოადგენს საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოს.

2. საზოგადოებრივი დარბაზი განიხილავს თვითმმართველი ერთეულის წინაშე არსებულ პრობლემატურ საკითხებს და წარმოადგენს თავის რეკომენდაციას/რეკომენდაციებს.

3. დარბაზის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია/რეკომენდაციები აისახება სხდომის ოქმში და წარედგინება საკრებულოს, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით საკრებულოს მიერ ამ საკითხის განხილვამდე.

მუხლი 7. საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობის საერთო წესი

1. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა საჯაროა.

2. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომაზე საკითხის განხილვისას წინადადებების შემოტანის უფლება აქვს როგორც საზოგადოებრივი დარბაზის წევრებს, ასევე სხდომაზე მოწვეულ და დამსწრე პირებს საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის თავჯდომარის ნებართვით.

3. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომების მუშაობაზე ვრცელდება საკრებულოს სხდომების მუშაობის წესები.

მუხლი 8. საზოგადოებრივი დარბაზის საქმიანობის უზრუნველყოფა.

1. საზოგადოებრივი დარბაზის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

2. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის თავჯდომარის და სხდომაში მონაწილე წევრთა ვინაობა, საზოგადოებრივი დარბაზის დღის წესრიგის საკითხები, ყველა წამოყენებული წინადადება. სხდომის ოქმს ხელს აწერს საზოგადოებრივი დარბაზის თავჯდომარე და ოქმის შემდგენი პირი. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომათა ოქმები საჯაროა და ინახება საკრებულოს აპარატში.

თავი IV. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. საკრებულოს თავჯდომარემ 2011 წლის 1 თებერვლამდე გამოსცეს ბრძანება საკრებულოს საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაციის დაწყების შესახებ.
2. განკარგულება ძალაში შედის საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.